

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



„ვამტკიცებ“

აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მ/შ
აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში

კახაბერ კირტავა

24._12_. 2015 წელი
2 ეგზ.

შუახვევის მუნიციპალიტეტი

ფინანსური აუდიტის ანგარიში N30/105

2014 წლის 1 იანვარი - 2014 წლის 31 დეკემბერი

ს ა რ ჩ ე ვ ი

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ	3
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა	3
აუდიტორის პასუხისმგებლობა	4
პირობითი მოსაზრების საფუძველები	4
პირობითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ	11
მნიშვნელოვან საკითხთა ხაზგასმა	12
სახელმწიფო შესყიდვები	12
ბიუჯეტის შესრულების მდგომარეობა	16
ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსულობები	17
ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯები	19
აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი	22
ბუღალტრული ანგარიშგების ფორმები	23



დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ

აუდიტის დეპარტამენტმა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ჩაატარა შუახევის მუნიციპალიტეტის ფინანსური აუდიტი, რომელიც მოიცავს შუახევის მუნიციპალიტეტის ბალანსს 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ ანგარიშებს. აუდიტი მოიცავს შემდეგ ანგარიშებს: ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით, ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ, ანგარიში ფინანსური აქტივებით და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების შესახებ, ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ, ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ და ანგარიში ავტომატური ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯების შესახებ. აუდიტი ასევე მოიცავს ანგარიშს ეკონომიკური ნაკადების შედეგად ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებების შესახებ.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

შუახევის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და მის სამართლიან წარდგენაზე საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის N364 ბრძანების „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ შესაბამისად.

აღნიშნული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლობიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით უზუსტობებს.



აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში პასუხისმგებელია, აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორების მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნეს გონივრული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობებს.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხებისა და განმარტებითი შენიშვნების შესახებ. პროცედურები შეირჩევა აუდიტორის პროფესიული განსჯის საფუძველზე, რაც მოიცავს ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკების შეფასებას, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ამ რისკების შეფასების დროს აუდიტორი განსაზღვრავს შესაფერისია თუ არა შიდა კონტროლი სამართლიანი და უტყუარი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის. შიდა კონტროლის შეფასება მიზნად ისახავს მოცემული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და არა შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე მოსაზრების გამოთქმას. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკისა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების მართებულობის შეფასებას, ასევე მთლიანად ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.

ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

პირობითი მოსაზრების საფუძველები

1. შუახევის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული პროცედურების განუხორციელებლობის გამო, ადგილობრივი ბიუჯეტიდან დამატებით იქნა გაწეული 36 700 ლარის ხარჯი.

შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 17 ივლისის N13 დადგენილებით ძალადაკარგულად გამოცხადდა შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2006 წლის 29 დეკემბრის N13 დადგენილება „შუახევის მუნიციპალიტეტის გამგეობის ტერიტორიული ორგანოების დებულების



დამტკიცების შესახებ“, ხოლო შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 17 ივლისის N12 დადგენილებით დამტკიცდა შუახევის მუნიციპალიტეტის გამგეობის სამტატო ნუსხა. შედეგად, გაუქმდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოები და რწმუნებულის/ ორგანიზატორის/ წამყვანი სპეციალისტის სამტატო ერთეულები შესაბამის ტერიტორიულ ერთეულებში.

შუახევის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2014 წლის 18 ივლისის N22-49 ბრძანებით ტერიტორიული ორგანოების ლიკვიდაციის გამო სამსახურიდან გათავისუფლდა შუახევის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოების 74 თანამშრომელი, რომლებზეც „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 108-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად, გაიცა თითოეულ პირზე სამი თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობის კომპენსაცია. დამატებით ერთი თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობის კომპენსაციის გაცემა განპირობებულია მოსალოდნელი გათავისუფლების შესახებ ერთი თვით ადრე გაფრთხილების ვალდებულების¹ დაუცველობით. მიუხედავად იმისა, რომ მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოების ლიკვიდაციის გამო შტატების მოსალოდნელი შემცირება თავიდანვე იყო ცნობილი², მუნიციპალიტეტის გამგეობის უფლებამოსილი პირების მიერ არ განხორციელებულა შესაბამისი პროცედურები, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტიდან 74 საჯარო მოხელეზე დამატებით იქნა გაწეული 36 700 ლარის ხარჯი.

2. შუახევის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელებული სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვებზე, 510 678 ლარის ოდენობის ანგარიშსწორება განხორციელებულია იმ პირობებში, როდესაც მიმწოდებლების მიერ არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია ფაქტობრივი დანახარჯების შესახებ.

შუახევის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ 2014 წელს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გაფორმებულია 92 ხელშეკრულება³. ხელშეკრულებათა ჯამური ღირებულებამ და განხორციელებულმა გადახდამ შეადგინა 510 678 ლარი. მუნიციპალიტეტის მიერ ანგარიშსწორება განხორციელებულია იმ პირობებში, როდესაც მიმწოდებლების მიერ

¹ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 108-ე მუხლის პირველი პუნქტი

² 2014 წლის 5 თებერვლს მიღებული „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“, 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მორიგი არჩევნების შედეგების ოფიციალური გამოცხადების დღიდან ძალადაკარგულად ცხადდებოდა „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი

³ მათ შორის, 88 ხელშეკრულება გაფორმებულია სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში



არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია ფაქტობრივი დანახარჯების შესახებ, რითაც დარღვეულია საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის N55 დადგენილებით დამტკიცებული „ტექნიკური რეგლამენტი - სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმური მოგების განსაზღვრის წესის“ მე-3 პუნქტი.

აუდიტის ჯგუფის მიერ, გარე დადასტურების ფორმით, მოთხოვნილი იქნა ინფორმაცია ფაქტობრივი დანახარჯების შესახებ, თუმცა მიმწოდებლების უმრავლესობას სათანადო ინფორმაცია არ წარმოუდგენია ან/და წარმოდგენილი ინფორმაცია არ იძლევა დანახარჯების სრული იდენტიფიცირების საშუალებას. გარე დადასტურების წერილზე, შპს „შავი ზღვის სანაპიროს“ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, შპს „შავი ზღვის სანაპიროს“ მიერ ხუთ შემთხვევაში განხორციელებულია სამშენებლო სამუშაოების მიწოდება. ფაქტობრივი დანახარჯების შესახებ დოკუმენტაციით, სოფელ გორში გარე განათების მოწყობის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების⁴ ფარგლებში, მიმწოდებლის მიერ სამუშაოები დასრულებულია 2014 წლის 30 ივლისს, თუმცა წარმოდგენილი სასაქონლო ზედნადეებით, სამუშაოების განსახორციელებლად საჭირო საქონლის ნაწილი მიმწოდებლის მიერ შეძენილია 2014 წლის 4 აგვისტოს⁵ და 2014 წლის 5 აგვისტოს⁶. წარმოდგენილი ლოკალური ხარჯთაღრიცხვით, აღნიშნულ სამუშაოებზე შპს „შავი ზღვის სანაპიროს“ ფაქტობრივმა დანახარჯებმა შეადგინა 3 736. 5 ლარი. შესაბამისად, მუნიციპალიტეტის მიერ მიმწოდებლისთვის მოგებისა და დღგ-ს ჩათვლით ანაზღაურებას ექვემდებარებოდა 4 761.8 ლარი⁷, თუმცა გადახდილია 7 245 ლარი⁸.

სოფელ ქიძინიძეების გზის რეაბილიტაციის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების⁹ ფარგლებში, მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ლოკალური ხარჯთაღრიცხვით, აღნიშნულ სამუშაოებზე შპს „შავი ზღვის სანაპიროს“ ფაქტობრივმა დანახარჯებმა შეადგინა 8 382.3 ლარი. შესაბამისად, მუნიციპალიტეტის მიერ მიმწოდებლისთვის მოგებისა და დღგ-ს ჩათვლით ანაზღაურებას ექვემდებარებოდა 10 682.3 ლარი¹⁰, თუმცა გადახდილია 13 969 ლარი¹¹.

⁴ ხელშეკრულება N137, 08/07/2014 წ. (ხელშეკრულების ღირებულება 7 245 ლარი)

⁵ სასაქონლო ზედნადები N ელ-0128333698, 04/08/2014 წ.

⁶ სასაქონლო ზედნადები N ელ-0128576138, 05/08/2014 წ.

⁷ ფაქტობრივი დანახარჯი - 3 736.5 ლარი, მოგება - 8%, დღგ - 18%.

⁸ საგადახდო მოთხოვნა N479, 08/08/2014 წ.

⁹ ხელშეკრულება N200, 05/09/2014 წ. (ხელშეკრულების ღირებულება 13 969 ლარი)

¹⁰ ფაქტობრივი დანახარჯი - 8 382.3 ლარი, მოგება - 8%, დღგ - 18%.

¹¹ საგადახდო მოთხოვნა N660, 03/10/2014 წ.; საგადახდო მოთხოვნა N687, 09/10/2014 წ.



სოფელ მახალაკიძეებში ხის ელექტრო წისქვილის მშენებლობის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების¹² ფარგლებში, მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ლოკალური ხარჯთაღრიცხვით, აღნიშნულ სამუშაოებზე შპს „შავი ზღვის სანაპიროს“ ფაქტობრივმა დანახარჯებმა შეადგინა 2 870.2 ლარი. შესაბამისად, მუნიციპალიტეტის მიერ მიმწოდებლისთვის მოგებისა და დღგ-ს ჩათვლით ანაზღაურებას ექვემდებარებოდა 3 657. 8 ლარი¹³, თუმცა გადახდილია 4 031.7 ლარი¹⁴.

აქვე უნდა აღინიშნოს, მიმწოდებლის მიერ სრულყოფილად არ არის წარმოდგენილი შრომითი დანახარჯებისა და ავტოსატრანსპორტო საშუალებათა საიჯარო ქირის გადახდის დოკუმენტაცია. შესაბამისად, აღნიშნული დანახარჯების რეალობაც რისკის მატარებელია.

3. შუახევის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების 2014 წლის ბალანსში, 1830 ლარით დაუსაბუთებლად არის გაზრდილი ორგანიზაციის შრომის ანაზღაურების ფაქტობრივი ხარჯი.

შუახევის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების 2014 წლის ბალანსის თანახმად, შრომის ანაზღაურების საკასო და ფაქტობრივმა ხარჯმა შეადგინა 1 646 055 ლარი, მათ შორის, 1 159 022 ლარი გაწეულია თანამდებობრივი სარგოს სახით. თანამდებობრივი სარგო გაიცემა თვეში ერთხელ, თუმცა სისტემური ხასიათი აქვს თანამდებობრივი სარგოს წინასწარ, ავანსის სახით გადახდას. აუდიტით დგინდება, რომ ავანსის სახით გადახდილი თანხების გამოქვითვა ხდებოდა მომდევნო, უახლოესი შრომის ანაზღაურების გაცემის დროს. ამასთან, 2014 წლის ნოემბრის თვეში ფიქსირდება 1 300 ლარის ოდენობის თანამდებობრივი სარგოს ავანსის სახით გაცემა, რომელიც დაბრუნებული/გამოქვითული არ არის საანგარიშო წლის დასრულებამდე, თუმცა კრედიტორული დავალიანების სახით არ არის აღრიცხული 2014 წლის ბალანსში.

შუახევის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამშრომლის ავადმყოფობის გამო სამსახურში არყოფნის დროს გადახდილი 530 ლარის ოდენობის ხელფასი ნაცვლად დამქირავებლის მიერ გაწეული სოციალური დახმარებისა, დაფინანსებულია შრომის ანაზღაურების ხარჯებიდან, რითაც დარღვეულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს N672 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის“ მე-4 თავი (ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მეთოდური

¹² ხელშეკრულება N224, 11/09/2014 წ. (ხელშეკრულების ღირებულება 4 031.7 ლარი)

¹³ ფაქტობრივი დანახარჯი - 2 870.2 ლარი, მოგება - 8%, დღგ - 18%.

¹⁴ საგადახდო მოთხოვნა N867, 19/11/2014 წ.



განმარტებები). ზემოაღნიშნული გარემოებების გამო, 1 830 ლარით დაუსაბუთებლად არის გაზრდილი შუახევის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების შრომის ანაზღაურების ფაქტობრივი ხარჯი.

4. შუახევის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების 2014 წლის ბალანსის თანახმად, სხვა ხარჯების საკასო შესრულებამ შეადგინა 2 865 527 ლარი იმ პირობებში, როდესაც ორგანიზაციას სხვა ხარჯების მუხლით 2014 წელს საკასო ხარჯი არ გაუწევია.

შუახევის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების 2014 წლის ბალანსის თანახმად, სხვა ხარჯების საკასო შესრულებამ შეადგინა 2 865 527 ლარი. წარმოდგენილი პირველადი დოკუმენტაციის აუდიტით დგინდება, რომ ორგანიზაციას სხვა ხარჯების მუხლით 2014 წელს საკასო ხარჯი არ გაუწევია, ხოლო ბალანსში ასახული მონაცემი წარმოადგენს არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გაწეულ გადახდას. ამასთან, იგივე მონაცემი წარმოდგენილია ასევე არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო ხარჯში, თუმცა დუბლირებას ორგანიზაციის წმინდა ღირებულებაზე არ უმოქმედია, რადგან ბალანსის დანართი ფორმა N3-ში ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსების მონაცემი შესაბამისობაშია ხაზინის ინფორმაციასთან.

5. შუახევის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ, 47 240 ლარის ღირებულების საპროექტო სამუშაოებით არ არის გაზრდილი ცალკეული ძირითადი აქტივების ღირებულება.

ძირითადი აქტივების მიღება აისახება ღირებულებით, რომელიც მოიცავს: შესყიდვის, წარმოების, მშენებლობის, მონტაჟის და დადგმის დანახარჯებს, აქტივის დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად საჭირო სხვა პირდაპირ დანახარჯებს, აგრეთვე უკან დაუბრუნებად გადასახადებს, მოსაკრებლებს, სხვა გადასახდელებს და საკუთრების უფლების გადაცემასთან დაკავშირებულ სხვა დანახარჯს, მათ შორის, აქტივების საპროექტო სამუშაოების ღირებულებას, გარდა ტიპური დაპროექტების დანახარჯებისა, რომლის პროპორციულად გადანაწილებაც შეუძლებელია. მოქმედი მარეგულირებელი ნორმების¹⁵ გაუთვალისწინებლად, შუახევის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ, 47

¹⁵ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების



240 ლარის ღირებულების საპროექტო სამუშაოებით არ არის გაზრდილი ცალკეული ძირითადი აქტივების ღირებულება.

6. შუახევის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ბალანსში, მოქმედი რეგულაციების შეუსაბამოდ, 100 193 ლარით გაზრდილია სხვა დანარჩენი დებიტორული დავალიანება.

შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებებით¹⁶, 2011-2012 წლებში, შუახევის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული, შპს „შუახევის წყალკანალის“ საწესდებო კაპიტალი გაიზარდა 100 193 ლარის ოდენობის ფულადი შენატანით. განხორციელებული ოპერაცია, შუახევის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ბალანსში აღრიცხულია, როგორც სხვა დანარჩენი დებიტორული დავალიანება.

საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების“ 33-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების თანახმად, ფინანსურ დაბანდებებს მიეკუთვნება საწარმოს, ორგანიზაციის ინვესტიციები სხვა საწარმოთა და ორგანიზაციათა ფასიან ქაღალდებში (აქციები, ობლიგაციები და სხვა), საწესდებო კაპიტალში, გაცემული სესხები საქართველოს ტერიტორიაზე, მის ფარგლებს გარეთ და სხვა. ფინანსური დაბანდებანი აღრიცხვაში აისახება ინვესტორის ფაქტობრივი დანახარჯების თანხით. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქციის“ მე-13 მუხლის 49¹-ე პუნქტით, ანგარიშზე – „აქციები და სხვა კაპიტალი“ – აღრიცხება სახელმწიფო ერთეულების მფლობელობაში არსებული გრძელვადიანი აქციები და სხვა კაპიტალი. ზემოაღნიშნული რეგულაციების გაუთვალისწინებლობის გამო, 100 193 ლარით უსაფუძვლოდ გაზრდილია ორგანიზაციის სხვა დანარჩენი დებიტორული დავალიანების ოდენობა.

ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქციის“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტი და მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი.

¹⁶ შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანება N1-065, 15/08/2011 წ., N1-096, 27/10/2011 წ., N1-013, 17/01/2012 წ.



7. მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების წარდგენილი ბალანსები, რიგ შემთხვევებში, არ ასახავს შესაბამისი ორგანიზაციის რეალურ ფინანსურ მდგომარეობას.

➤ ა(ა)იპ „შუახევის ბაგა-ბაღების გაერთიანების“ 2014 წლის ბალანსის დანართი ფორმა N3-ით ფიქსირდება სხვა შემოსავლები 5 000 ლარის ოდენობით. ამასთან, ანგარიში სხვა შემოსავლებიდან მიღებული სახსრების მოძრაობის შესახებ (ბალანსის დანართი ფორმა N4) არ არის შევსებული. ორგანიზაციის საბუღალტრო დოკუმენტაციის აუდიტით დგინდება, რომ შუახევის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით, ორგანიზაციისთვის პიანინოების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით, განისაზღვრა 5 000 ლარი. შესყიდვაზე გაწეულმა გადახდამ შეადგინა 4 151 ლარი. აღნიშნული დაფინანსება, მოქმედი რეგულაციების¹⁷ დაუცველად, ორგანიზაციის მიერ აღრიცხული იქნა სხვა შემოსავლებში.

ა(ა)იპ „შუახევის ბაგა-ბაღების გაერთიანების“ 2014 წლის ბალანსს არ ახლავს ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ (ბალანსის დანართი ფორმა N5), ასევე ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის შესახებ (ბალანსის დანართი ფორმა N2) არ მოიცავს ინფორმაციას ძირითადი კაპიტალის მოხმარების შესახებ, შესაბამისად, არასწორია ფაქტობრივი ხარჯის მონაცემი. ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, ა(ა)იპ „შუახევის ბაგა-ბაღების გაერთიანების“ 2014 წლის ბალანსი არ ასახავს ორგანიზაციის რეალურ ფინანსურ მდგომარეობას.

➤ ა(ა)იპ „შუახევის კომპლექსური სასპორტო სკოლის“ 2014 წლის ბალანსით ფიქსირდება 6 360 ლარის ღირებულების არამატერიალური ძირითადი აქტივების იმავე დონის სახელმწიფო ერთეულზე უსასყიდლოდ გასვლა. საბუღალტრო დოკუმენტაციის აუდიტით დგინდება, რომ 2013 წლის დეკემბერში ა(ა)იპ „შუახევის კომპლექსური სასპორტო სკოლამ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება - სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტისგან უსასყიდლოდ მიიღო 6 360 ლარის ღირებულების მცირეფასიანი აქტივი, რომელიც აღირიცხა, როგორც ძირითადი აქტივი. შესაბამისად, 6 360 ლარის ღირებულების არამატერიალური ძირითადი აქტივების უსასყიდლოდ გასვლის ოპერაციას წლის განმავლობაში ადგილი არ ჰქონია

¹⁷ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქციის“ მე-23 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები



და პროცედურა განხორციელდა 2013 წლის დეკემბერში დაშვებული არასწორი გატარების გასასწორებლად.

ა(ა)იპ „შუახევის კომპლექსური სასპორტო სკოლის“ 2014 წლის საბალანსო ინფორმაციის სისწორეზე ძირითადი აქტივების საწყისი ნაშთის შესახებ სათანადო რწმუნება ვერ იქნა მიღებული, რადგან 2134 ანგარიშზე აღრიცხული ძირითადი აქტივების ნაწილის საწყისი ღირებულების იდენტიფიცირება, სათანადო პირველადი დოკუმენტების არარსებობის პირობებში, ვერ ხერხდება.

➤ ა(ა)იპ „შუახევის სახელოვნებო სკოლის“ 2014 წლის ბალანსით ფიქსირდება 955 ლარის ღირებულების აქტივების უსასყიდლოდ და 548 ლარის ღირებულების მატერიალური მარაგების ბარტერიით მიღება. საბუღალტრო დოკუმენტაციის აუდიტით დგინდება, რომ ორგანიზაციის მიერ, მოქმედი რეგულაციების¹⁸ გაუთვალისწინებლად, „სუბსიდიებიდან“ დაფინანსებული იქნა 955 ლარის ღირებულების კომპიუტერის სახელმწიფო შესყიდვა, ხოლო 548 ლარის ღირებულების მატერიალური მარაგები მიღებულია არა ბარტერიით, არამედ შესყიდვით.

➤ ა(ა)იპ „შუახევის წყალკანალის“ 2014 წლის ბალანსის მონაცემები წლის დასაწყისისთვის არსებული ნაშთის, „საქონელი და მომსახურების“ მუხლით გაწეული ფაქტიური ხარჯისა და ძირითადი კაპიტალის მოხმარების შესახებ არსებითად შეუსაბამოა ორგანიზაციის საბუღალტრო მონაცემებთან, ხოლო ფინანსური აქტივების უსასყიდლოდ მიღების ოპერაციას საანგარიშო წლის განმავლობაში ადგილი საერთოდ არ ჰქონია. ამასთან, 240 ლარის ღირებულების მცირეფასიანი აქტივის სახელმწიფო შესყიდვა, მოქმედი რეგულაციების¹⁹ გაუთვალისწინებლად, დაფინანსებულია არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლიდან. ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, ა(ა)იპ „შუახევის წყალკანალის“ 2014 წლის ბალანსი არ ასახავს ორგანიზაციის რეალურ ფინანსურ მდგომარეობას.

პირობითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ

ჩვენი აზრით, პირობითი მოსაზრების საფუძვლებში აღწერილი საკითხების ფინანსურ ანგარიშგებაზე გავლენის ან შესაძლო გავლენის გარდა, წარმოდგენილი

¹⁸ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს N672 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაცია“

¹⁹ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს N672 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაცია“



ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შუახვევის მუნიციპალიტეტის ფინანსურ მდგომარეობას 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე შუახვევის მუნიციპალიტეტის საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ სააღრიცხვო პერიოდისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით.

მნიშვნელოვან საკითხთა ხაზგასმა

სახელმწიფო შესყიდვები

➤ ელექტრონული საშუალებებით განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ნორმები სახელშეკრულებო ვალდებულებათა შეუსრულებლობის ნაწილში²⁰, არ არის სრულ შესაბამისობაში შესაბამის სატენდერო დოკუმენტაციაში მოცემულ ხელშეკრულების პროექტებთან, რითაც დარღვეულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-19 მუხლის 1-ლი პუნქტი.

➤ სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გაფორმებული ხელშეკრულებების თანახმად, თუ მიმწოდებელი გადააცილებს სატენდერო წინადადებით (გრაფიკით) გათვალისწინებულ შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადას, დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი სამუშაოს ღირებულების 0.2% ან/და 0.3%-ის ოდენობით. წარმოდგენილი მიღება-ჩაბარების დოკუმენტაციით დგინდება სატენდერო წინადადებით (გრაფიკით) გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადების დარღვევის შემთხვევები, თუმცა შემსყიდველის მიერ სათანადო ადმინისტრირება არ არის განხორციელებული ან/და განხორციელებულია ხელშეკრულების პირობების დაუცველად.

➤ შუახვევის მუნიციპალიტეტის მიერ ელექტრონული ტენდერის²¹ საშუალებით, სახანძრო ავტოცისტერნის სახელმწიფო შესყიდვის მიზნით,

²⁰ მუხლი 15

²¹ SPA140011562



ხელშეკრულება²² გაფორმდა შპს „ბიზნეს ჯგუფ 2010“-თან. ხელშეკრულებაზე თანდართულია მისაწოდებელი სახანძრო ავტოცისტერნის ძირითადი ტექნიკური მახასიათებლები. საქონლის მიღება-ჩაბარების დოკუმენტაციით ვერ დგინდება მიწოდებული სახანძრო ავტოცისტერნის ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობა, რა პირობებშიც მუნიციპალიტეტის მიერ ადგილობრივი ბიუჯეტიდან გადახდილია 204 000 ლარი.

➤ ელექტრონული ტენდერის²³ საშუალებით, ფურტიოს რაგბის მოედნის მშენებლობის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით, ხელშეკრულება²⁴ გაფორმდა შპს „არჩ დეველოპმენტ გრუპთან“. გაფორმებული ხელშეკრულების სრულმა ღირებულებამ შეადგინა 74 390 ლარი, ხოლო მიწოდების ვადად განისაზღვრა 2014 წლის 25 სექტემბრამდე პერიოდი. ხელშეკრულებაში 2014 წლის 25 სექტემბრის შეთანხმების ოქმით²⁵ შევიდა ცვლილებები. შედეგად ხელშეკრულების ღირებულება გაიზარდა 7 200 ლარით, ხოლო მიწოდების ვადა გაგრძელდა 2014 წლის 26 ნოემბრამდე. ცვლილებების განხორციელების საფუძველად მითითებულია მოსახლეობის თხოვნა, რაგბის სპორტული მოედნის გაბარიტული ზომების გაზრდის თაობაზე, მისი დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. არსებული დოკუმენტაციით არ დგინდება, თუ რატომ დაიგეგმა თავის დროზე არასტანდარტული მოედნის მშენებლობა. ზემოაღნიშნული მუნიციპალიტეტის შიდა კონტროლის სისტემის არსებით სისუსტეზე მიუთითებს. აქვე აღსანიშნავია, რომ ცვლილების განხორციელების მომენტისთვის მიმწოდებელს შესრულებული ჰქონდა ხელშეკრულების საერთო ღირებულებიდან მხოლოდ 41.7%-ის ღირებულების სამუშაო, ხოლო ცვლილების შედეგად ხელშეკრულების ღირებულება გაიზარდა 9.7%-ით, მიწოდების ვადა კი გაგრძელდა 61 კალენდარული დღით. მნიშვნელოვანია ასევე, რომ შეთანხმების ოქმი სისტემაში ატვირთულია ოქმზე მითითებული თარიღიდან 35 დღის შემდეგ, 2014 წლის 30 ოქტომბერს²⁶.

წარმოდგენილი მიღება-ჩაბარების დოკუმენტაციით, ხელშეკრულებაში ცვლილებების განხორციელებამდე, მიმწოდებელზე პირგასამტეხლოს სახით

²² ხელშეკრულება N109, 17/06/2014 წ.

²³ SPA140013099

²⁴ ხელშეკრულება N113, 25/06/2014 წ.

²⁵ შეთანხმების ოქმი N1, 25/09/2014 წ.

²⁶ დარღვეულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-20 მუხლის 1-ლი პუნქტი



დაკისრებას ექვემდებარებოდა 2 718.4 ლარი, რაც მუნიციპალიტეტის მიერ არ განხორციელებულა. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანას არ მოჰყოლია სამუშაოთა შესრულების გეგმა-გრაფიკის მოდიფიცირება, შესაბამისად აუდიტის ჯგუფი მოკლებულია შესაძლებლობას გამოთქვას მოსაზრება, თუ რამდენად ადეკვატურია შემდგომ პერიოდში დარიცხული პირგასამტეხლო²⁷ შექმნილ გარემოებებთან.

➤ ელექტრონული ტენდერის²⁸ საშუალებით, დაბა შუახევის ახალი წყალსადენის სისტემის მშენებლობის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით, ხელშეკრულება²⁹ გაფორმდა შპს „მაჯასთან“. ხელშეკრულების სრულმა ღირებულებამ შეადგინა 974 647 ლარი, ხოლო სამუშაოების შესრულების ვადად განისაზღვრა ხელშეკრულების გაფორმებიდან ოთხი თვე - 2014 წლის 7 დეკემბერი. სატენდერო პირობების საფუძველზე, ხელშეკრულების შესაბამისად განისაზღვრა წინასწარი ანგარიშსწორების შესაძლებლობა ხელშეკრულების ჯამური ღირებულების მაქსიმუმ 30%-ის ოდენობით, საქართველოს ეროვნული ბანკის ლიცენზირებული კომერციული ბანკის მიერ გაცემული საბანკო გარანტიის საფუძველზე. ხელშეკრულებაში 2014 წლის 16 სექტემბრის შეთანხმების ოქმით³⁰ განხორციელებული ცვლილებით განისაზღვრა, რომ წინასწარი ანგარიშსწორების შესაძლებლობა არა მხოლოდ საქართველოს ეროვნული ბანკის ლიცენზირებული კომერციული ბანკის მიერ გაცემული საბანკო გარანტიის საფუძველზე, არამედ სადაზღვევო კომპანიის მიერ გაცემული საბანკო გარანტიის საფუძველზეც. მუნიციპალიტეტის მიერ დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილება სათანადო დასაბუთებას მოკლებულია და არ არის მიმართული ეფექტური კონკურენციის განვითარებისთვის. განხორციელებული ცვლილება სისტემაში ატვირთულია ოქმზე მითითებული თარიღიდან 35 დღის შემდეგ, 2014 წლის 21 ოქტომბერს³¹, რაც მისი შესაბამის დროში გაფორმების რეალობის რისკებს ქმნის. მნიშვნელოვანია ასევე, რომ წინასწარი ანგარიშსწორება განხორციელებულია ოქმის სისტემაში ატვირთვამდე 12 დღით

²⁷ 1 275.5 ლარი

²⁸ SPA140015666

²⁹ ხელშეკრულება N167, 07/08/2014 წ.

³⁰ შეთანხმების ოქმი N1, 16/09/2014 წ.

³¹ დარღვეულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-20 მუხლის 1-ლი პუნქტი



ადრე³². უნდა აღინიშნოს აგრეთვე, რომ 2014 წლის 24 სექტემბრის შეთანხმების ოქმს³³, რომლითაც შეიცვალა ხელშეკრულების მოქმედების ვადა, მინიჭებული აქვს N1.

მიწოდების ვადის გასვლიდან მომდევნო დღეს, 2014 წლის 8 დეკემბრის შეთანხმების ოქმით³⁴ ხელშეკრულებაში განხორცილდა ცვლილებები, რომლის შედეგად ხელშეკრულების ჯამური ღირებულების შეუცვლელად დაკორექტირდა რიგი სამუშაოების მოცულობები, ხოლო სამუშაოების დასრულებისათვის განსაზღვრული იქნა 2014 წლის 29 დეკემბრამდე პერიოდი. ვადის ცვლილების ერთერთ საფუძვლად მითითებულია, რომ 2014 წლის 1 ოქტომბრიდან 2014 წლის 3 დეკემბრამდე 27 დღის განმავლობაში აღინიშნა ნალექი, თუმცა რაიმე სახის მტკიცებულება შესაბამის პერიოდში მისი უზვეულობის შესახებ არ არის წარმოდგენილი. შეთანხმების გაფორმების დღისთვის მიმწოდებლისთვის პირგასამტეხლოს სახით დაკისრებას ექვემდებარებოდა 487.3 ლარი.

➤ ელექტრონული ტენდერის³⁵ საშუალებით, ზამლეის ცენტრის კეთილმოწყობის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით, ხელშეკრულება³⁶ გაფორმდა შპს „პირამიდა - 2005“-თან. ხელშეკრულების სრულმა ღირებულებამ შეადგინა 25 999 ლარი, ხოლო სამუშაოების შესრულების ვადად განისაზღვრა 2014 წლის 3 ნოემბრამდე პერიოდი. 2014 წლის 24 ოქტომბრის შეთანხმების ოქმის³⁷ საფუძველზე ხელშეკრულებაში განხორციელებული ცვლილებებით, რომელიც სისტემაში აიტვირთა 2014 წლის 17 ნოემბერს³⁸, ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ახალი სახის სამუშაოების დამატების გამო გაიზარდა 2 580 ლარით, ხოლო აღნიშნული სამუშაოების დასრულებისათვის განსაზღვრული იქნა 2014 წლის 20 დეკემბრამდე პერიოდი. აღსანიშნავია, რომ შესასრულებელ სამუშაოთა მოცულობა გაიზარდა ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 9.9%-ის ოდენობით, ხოლო მიწოდების ვადა - 47 დღით.

³² საგადახდო დავალება N688, 09/10/2014 წ. (292 394 ლარი)

³³ შეთანხმების ოქმი N1, 24/10/2014 წ. ოქმი სისტემაში ატვირთულია 2014 წლის 17 ნოემბერს, რითაც დარღვეულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-20 მუხლის 1-ლი პუნქტი

³⁴ შეთანხმების ოქმი N3, 08/12/2014 წ.

³⁵ SPA140016549

³⁶ ხელშეკრულება N197, 03/09/2014 წ.

³⁷ შეთანხმების ოქმი N1, 24/10/2014 წ.

³⁸ დარღვეულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტი



➤ დაბა შუახევისა და ხიჭაურის ტერიტორიების დადგვა-დასუფთავების მომსახურების, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის³⁹ საშუალებით გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების⁴⁰ ღირებულებამ შეადგინა 50 999 ლარი დღგ-ს ჩათვლით. თანდართული ფასების ცხრილის თანახმად, მიმწოდებელი უზრუნველყოფდა 75 392 კვ.მ ტერიტორიის დაგვა-დასუფთავებას ყოველდღე, დღეში ერთხელ სანიაღვრე არხების ჩათვლით, 4 700 კვ.მ მწვანე საფარის დასუფთავებას თვეში ერთხელ, 63.76 კუბ.მ სამშენებლო და სამეურნეო ანახვეტის გატანას ყოველთვიურად, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის დაბაში მოძრაობის აღკვეთას ყოველდღიურად და ნოემბერ-დეკემბერში გარკვეული ტერიტორიების თოვლის საფარისგან გაწმენდას. წარმოდგენილი მიღება-ჩაბარების დოკუმენტაციით, მიმწოდებელი 2014 წლის ნოემბერ-დეკემბერში ყოველდღიურად უზრუნველყოფდა 75 392 კვ.მ ტერიტორიის დაგვა-დასუფთავებას და მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის დაბაში მოძრაობის აღკვეთას, რაც მუნიციპალიტეტში, შესაბამის პერიოდში არსებული კლიმატური პირობების გათვალისწინებით, გონივრულ საფუძველს მოკლებულია.

ბიუჯეტის შესრულების მდგომარეობა

შუახევის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით⁴¹ შემოსავლების ოდენობა განისაზღვრა 6 632 611 ლარით, ხარჯების ოდენობა - 4 261 000 ლარით, არაფინანსური აქტივების ზრდა - 3 423 939 ლარით, ფინანსური აქტივების კლება - 1 052 698 ლარით, ხოლო ვალდებულებების კლება - 370 ლარით. განხორციელებული ცვლილებებისა და დაზუსტებების შედეგად, შემოსავლების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა - 6 795 386 ლარი, ხარჯების დაზუსტებულმა გეგმამ - 4 423 775 ლარი, ხოლო არაფინანსური და ფინანსური აქტივების ცვლილების, ასევე ვალდებულებების ცვლილების გეგმა არ შეცვლილა. დაზუსტებული ბიუჯეტი შემოსავლების ნაწილში შესრულდა 100.7%-ით, ხარჯების ნაწილში - 92.2%-ით, ხოლო არაფინანსური აქტივების ზრდის ნაწილში - 85.3%-ით. სრული ინფორმაცია წარმოდგენილია ცხრილის სახით:

³⁹ SPA140007809

⁴⁰ ხელშეკრულება N67, 03/04/2014 წ.

⁴¹ შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 25 დეკემბრის დადგენილება N14 „შუახევის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“



აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში
ფინანსური აუდიტის ანგარიში

დასახელება	დამტკიცებული გეგმა (ლარი)	დაზუსტებული გეგმა (ლარი)	საკასო ხარჯი (ლარი)	დაზუსტებული გეგმის შესრულება (%)
შემოსავლები	6,632,611	6,795,386	6,843,982	100.7
გადასახადები	229,000	229,000	220,858	96.4
გრანტები	6,114,143	6,276,918	6,242,159	99.4
სხვა შემოსავლები	289,468	289,468	380,965	131.6
ხარჯები	4,261,000	4,423,775	4,076,840	92.2
შრომის ანაზღაურება	1,646,114	1,646,114	1,646,055	100
